


# ლიტერატურული განეთი

№41 24 დეკემბერი 2010 - 13 იანვარი 2011

გამოშენის ორ პერიოდი ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თათრი



\*\*\*

თითქოს ახლაც — ის სანთლების გროვა,  
თითქოს ახლაც —  
ის ლოცვა და ცრემლი...

ვიღაც ისევ ირწმუნება: მოვალ,  
ვიღაც ისევ მოთმინებით ელის.

\*\*\*

ეს მარტოობაც მომძულდა,  
ეს ცრემლიც,  
ეს უმწეობაც,  
უბრალოდ, ტოლი მომწყურდა,  
ცაში ყოფნა და ზეობა.

\*\*\*

ან სხვამ ინალვლოს ზამთრის მთა-ველზე,  
ან სხვები იდგნენ გულდაზაფრული,  
მე კი მოვსულვარ  
და თეთრ ბანებზე  
წკრიალებს ზარი და გაზაფხული.

\*\*\*

განა არ ვიცი, ტყულად ვყბედობ,  
როცა ვწერ: ვაი, ვის უნდა ვენდოთ,  
შავო და თეთრო, დღეო თუ დამევ, —

მაგრამ  
ხომ უნდა გავიდეს ეს დრო  
და როგორ გავა,  
თუ არ ვთქვით რამე?!

\*\*\*

არ შეიძლება, არ იყოს სხვა დროც,  
არ შეიძლება, არ იყოს სხვა მზეც ...  
ათოვს ლოდინს და სურვილებს ათოვს,  
ნეტავ როდემდის ითოვებს ასე?!

განა რაიმე  
სასწაულს ვნატრობ,  
ვფიქრობ უკეთეს  
დღეზე და დარჩე...

\*\*\*

აი, რომ ვზივარ ცეცხლის პირს და  
ველარა ვთბები,  
აი, რომ ვზივარ შენ გვერდით და  
უშენოდ ვკვდები,

აი, რომ თვალზე უილბლობის მერევა ცრემლი,  
აი, რომ მაინც, მაინც მოდის ახალი წელი,

აი, რომ ახლა ყველა, შენ და  
მეც სადლაც მივალ,  
მაგრამ ხომ არის ჟამი, როცა  
არ მახსოვს, ვინ ვარ!

\*\*\*

ისევ ის სვავი მოჩანს, მოფრინავს,  
ისევ ის გზა და ჟამი ტიალი...  
ვითომდა ძველი არა ყოფნიდა  
გულს ნაისრალი და ნატყვიარი.

და მაინც შევნის თეთრი საყელო  
მუნდირს, რომელიც გუშინ მიბოძეს.  
მივდივარ, ჯავრი არ გამაყოლო,  
„რა გეომება“ — არ გამაგონო,  
კარგად მაქეს შენი ლოცვა დაცდილი,  
გზა დამილოცე!

\*\*\*


იგი ჩემეკენ გზას ვერ გამოიგნებს,  
მეც მისკენ მუდამ ფეხი მერევა

და დღემდე ასე,  
ჩემო თოლიგე,  
სხვას ვეფერები,  
სხვა გეცერება.

\*\*\*

და მეც რა გითხრათ უფრო ახალი  
და კვლავ ვაგრძელებ ქებას მზისფერის.

ჩიტი და ჩიტის სკამი მაღალი —  
ანთა  
დილის სხივზე წიფელი.



## ნოდარ ადეიშვილი

### ცრაგმენტი

ო, ლექსო, ლექსო რითმიანო,  
სულ რომ ნებივრობ,  
სულ რომ გწადია,  
ვარდ გესხას, ვარდი გეფინოს, —  
ჩემგან მცირედაც  
რომ ვერ ჰგუობრა რამე ზერელეს,  
რა უნდა მეთქვა, რომ ეკითხათ,  
ვისთვის კვდებიო,  
რომ არ რქმეოდა  
იმ ჭორფლიან გოგოს ელენე!

\*\*\*

ველოდი,  
შაგრამ ასე ერთბაშად  
თუ მოვიდოდა, აღარ მეგონა...

რომ უნდა მეთქვა: — ცრემლი შემაშრა,  
ანი ზამბახთა კონებს შევეონავ,  
ო, სწორედ მაშინ გადამელობა  
შენენ მომავალს ზამთრის ქარები.

.... ....

ვიტორებ, სანამ ცრემლი მეყოფა,  
ვიტირებ, სანამ  
არ გეყვარები....

\*\*\*

კიოდა ელვა  
და პაერს წვრილად  
ჩრჩილავდა წვეთი და ხმა ციცარის  
და თქრიალებდა ფოთლებში წვიმა —  
ბედუინების ტკბილი სიზმარი...

გიცქერდი: თრთოდი და კისკისებდი  
და ვის ახსოვდა წვიმა და ქარი...  
მიირნეოდნენ გზებზე ნისლები, —  
შენი თმებივით ნაზი და მკრთალი.

\*\*\*

ვის ესმის:  
ნულარ დაგვაშორებენ,  
ვის ესმის ჩემი  
ან შენი ბუკის...

ვწუხვარ, ვწრიალებ, მაგრამ ნოემბერს,  
მაგრამ ამ ხეებს რა ქარი უკვირთ.

\*\*\*

მეხვევა მზე და შენი სახელი  
ჩემს ყველა ტოტზე ჩიტივით მღერის  
და სივრცეს, ასე ჩემს და გამხელილს,  
ჩაჭიდებივარ ორივე ხელით.

ყავლი გასვლია ძველ დარდს და ეჭვებს  
და კვლავ ვაგროვებთ სახეზე ლიმილს,  
გვეყო, რაც შემი ვხარით და ვდეჭეთ,  
რაც ვიმარხულეთ ვარდი და ლხინი.

\*\*\*

ვერ უოხებდნენ, მახსოვს, ბატონებს,  
ვერც შენ მიწვდიდი საძველად ხელებს,

მაშინდელია  
ეს სიმარტოვე,  
ეს დაწრეტილი გული და ლელე.

\*\*\*

ისევ ის წყარო და წიფლის ღარი,  
ისევ ის ტყე და ტყის პირს — ნალია,  
ათასში ერთხელ მეც მქენია მგზავრი  
და აქაური ცა მიხარია.

\*\*\*

დასაწყლდა გული, ხშირად მომიჩანს  
ცრემლი, ცხონებულ პაპის არ იყოს...

ანი ის მკლავიც სხვებმა მოიჭრან,  
ანი ის კოშკიც სხვებმა აგიგონ.

დიდხანს მჯეროდა, ამოიყრიდა  
ის ტყე და  
ტყეში ჩიტსაც ვნახავდი...

და მე ამ ტირილს ვიწყებ იქიდან,  
როცა პირველად გითხარ: ნახვამდის...

### აი, მივდივარ...

აი, მივდივარ  
და გული მწყდება,  
რომ ეხედავ, უკვე რა ბინდიც წვება,  
შორს რჩება სახლი და დალლის ყეფა,  
შენი ხმაც — ერთ დროს ყველაფრის შემძლე,  
ის ათი გზა და ის ათი მცნება,  
იმ წითელ-ყვითელ ვარდების კრეფა...  
და არაფერი  
არ ძალუძს ლექსებს.

### ვარ მოგიტანე...

ვინაც თქვა ჩემი ქოხი და ჯორკო,  
ნუთუ მანვე თქვა სასახლის განძი?  
ვაი, შენამდე გზას ოკრო-ბოკროს,  
ვაი, სიყვარულს ღარიბი კაცის...

ვეღარც დღეს მომაქვს კაბა დედოფლის,  
ვეღარც დღეს მომყავს ჭრელი ციცრები.

ვეღარ ვისენებ, როდის ვფერობდი  
ცას,  
ანდა როდის იყო ცისფერი.

### დადნა თოვლი და...

სხვა რა გიამბო,  
ჩემო ლოლი, ჩემო ლოლიტა,  
სხვა რა სტრიქონი გავიხსენო  
იმ ძველ დროიდან.  
თითქოს სულ შენთვის ვწურჩულებდი  
ყოველ აპრილში:

თოვლი კი დადნა,  
მაგრამ ია არ ამოვიდა.

### 306 არის ნეტავ?

განა არ ვიცი, რას ყეფს ანდაზა,  
ან მეანდაზე საით მიპყავს გზებს,  
მაინც ვეითხულობ, ისე ლამაზად  
მპასუხობს ვიდაც ყველა კითხვაზე.

და ისევ ისმის:  
— ვინ არის ნეტავ,  
მეფის გზას მოსდევს თუ ოკრო-ბოკროს?

ვინ არის,  
ვისთვის ირთვება თეთრად  
ამ გაზაფხულზე მეზობლის გოგო?





## ქოლგები

წვიმს...  
და სახლები  
გვიფარებენ ქოლგებით,  
ხეებიც  
ემსავსებიან ქოლგებს,  
საერთოდაც, ყველაფერი, რაც ჩვენს თავზეა,  
ქოლგებს ჰავას და  
იზრდება და  
იშლება ქოლგასავით.

შემოდგომაზე  
ხეებსაც ყვითელი ქოლგები სცვივათ,  
რომლებსაც ქარის წამობერვაზე  
მწიფე ვაშლივით ებერებათ  
ლოყები.

მერე ტოტები ხელახლა ისხამენ ქოლგებს,  
რომლებიც მწიფდებიან და  
ფერადდებიან,  
და აფერადებენ ჩვენს დღეებს,  
აღნევენ სიზმრებში და  
მონატრებებში,  
ამ ფერებით ვაწყობთ სამყაროს –  
უსასრულოს და ნათელს,  
მაგრამ ზოგჯერ  
ერთი ქოლგის ქვეშ ვიყუშებით,  
წყალიც გუბდება ჩვენს ირგვლივ,  
მდორდება და,  
იმ ერთადერთ ფერში ვიკეტებით,  
მხოლოდ ჩვენივე შეგრძნებების, სევდის  
პირისპირ.

მერე ისევ დგება ზამთარი,  
უფერულდება ყველა ქოლგა,  
და ჩვენც ვცდილობთ,  
დავუსხლტეთ მოწყენილობას,  
თოვლჭაპს და სისველეს —  
ქოლგები ვერ დაგვაქვს,  
ქოლგებს დავექებთ,  
და ვსველდებით, როგორც ღია ცის ქვეშ,  
მივდივართ ქუჩაში —  
ქოლგაგაშლილი,  
ქოლგაჩასუტებული,  
ან სულაც უქოლგო,  
მობუზული გამვლელ-გამომვლელები.

ვერაფერი გვიცავს სისველისგან —  
ვერც სახლები,  
ვერც ხეები,  
ვერც ერთი ფოთოლი,  
ვერც ერთი ჭერი ვერ გვიცავს ერთმანეთისგან,  
ვსველდებით,  
ვხდებით გამჭვირვალენი  
და ვხედავთ საკუთარ თავს.  
მერე გვხედავენ სხვებიც —  
ზუსტად ისეთებს, როგორიც ვჩანვართ,  
გვილებენ ისეთებს, როგორიც ვართ,  
როგორიც ალმოვაჩინეთ საკუთარი თავი  
წვიმაში, დელგმაში, წარლვაში —  
ალმოვაჩინეთ სხეულს მიღმა.

და ასეთი —  
გამჭვირვალე,  
გახსნილი და  
გარინდებული —  
ვუყვარდებთ ან არც ვუყვარდებით,  
მოდიან ჩვენიან, ანდა  
გარბიან ჩვენგან  
და გვეჩვევიან ისეთებს,  
როგორიც ყოფაც ჯერ  
ჩვენივისაც უცხოა —  
მაგრამ უცხოა  
მხოლოდ ჩვენთვის,  
სხვები კი  
გვექებენ, გვედავენ და გვიღებენ ასეთს.



## ქეთი ნიუარაძე

ხეები კი ისევ ისხამენ ქოლგებს,  
რომლებიც ვაშლებივით მწიფდებიან,  
იზრდებიან,  
იბერებიან  
და ფერადდებიან,  
და რომლებიც რჩებიან მერეც,  
როცა წვიმა გადაიღებს —  
რჩებიან და  
თავისი კალთის ქვეშ გვიფარებენ.

\*\*\*

მოკასინები გავიხადოთ და  
ფეხშიშველი გავუყვეთ ასფალტს?

## ფრედერიკ ბეგბედერი

გავუყვეთ ასფალტს,  
ფეხშიშველი გავუყვეთ ასფალტს.  
ფეხქვეშ შევიგრძნოთ  
არა მინის,  
არა ბალახის,  
არა ცვარნამის სისველე და სითბო, არამედ  
ის მშურვალება,  
მზისან გამდნარ გზას რომ დაყვება.  
შევიგრძნოთ სუნი,  
მას რომ უდის, ახალდაგებულს,  
და ჩვენი ფეხის ნაკვალევი  
დაგტოვოთ მკრთალად,  
დაგტოვოთ მშვიდად, სამუდამოდ,  
ფრთხილად დაგტოვოთ —  
გავუყვეთ ქუჩას,  
ფეხშიშველი გავუყვეთ ქუჩას —  
მივუახლოვდეთ დედამინას იქნებ როგორმე.

\*\*\*

ესე იგი, ათასი სისულელე  
შემიძლია ვიყვირო?

## ფრედერიკ ბეგბედერი

ხმა იკარგება  
სივრცეებში, კორპუსებს შორის,  
ურბანულ მინას უსიცოცხლო მოწყენა ადევს,  
ხმა იკარგება,  
სადღაც ქრება და აღარ არის —  
სახეშეცვლილი,  
გადაღლილი  
და უიმედო.  
იყვირე —  
ათას სისულელეს გაუძლებს მინა,  
გაუძლებს (კა და —  
რაც მათ შორის სილურჯე დარჩა,  
იყორე, ოღონდ იცოდე, რომ  
ხმა მოგზაუროს  
და ენარცხება სიბნელეებს  
კორპუსებს შორის.

\*\*\*

რა უნდა ვიფიქრო ამ მანანალებზე,  
პლასტმასის იასამნისფერ სკამებზე რომ ხვრინავენ?  
რისი თქმა უნდათ? რომ აღარსად არის გასაქცევი?

## ფრედერიკ ბეგბედერი

მათ უდევთ თავი ღია ფერის მოგრძო სკამებზე,  
იასამნისფერ სკამებზე და მშვიდად სუნთქვავენ —  
სულ არ ხვრინავენ,  
მოსაცდელის მკრთალი სინათლე  
მონოქრონულად და თანაბრად უნანილდებათ

სახეებზე და სხეულებზე — ისე თანაბრად,  
რომ ვერც შეამნევ დანარჩენი მგზავრების ჩრდილებს,  
ხან აჩქარებით,

ხან ზოზინით რომ მოძრაობენ.

მათ უდევთ თავი ამ პლასტმასის მოგრძო სკამებზე,  
ამავე ფერის, პლასტმასივით სიზმრებს ხედავენ,

ხედავენ იმას, რაც მართლა სურთ,

ან ეშინიათ,

რაც გადახდათ, ან

რაც მოელით —

ცხადად ხედავენ.

რაც აქვთ სათქმელი,

იქ ანდობენ მხოლოდ ერთმანეთს,

ჩვენთვის გამხელა არასოდეს მოსვლიათ აზრად,

არ უფიქრით

ჩემზე, შენზე, მათზე და სხვებზე,

გაქცევაზე კი — მით უმეტეს — არ უფიქრიათ.

რადგან პლასტმასით შემოსაზღვრულ სიზმრებს  
ხედავენ.

\*\*\*

რომელი საათია? რატომ ცვლის ყოველთვის  
ღამეს დღე?

## ფრედერიკ ბეგბედერი

დილის ხუთია და გრძელდება მონაცვლეობა —

მონაცვლეობა მზის ამოსვლის,

დღის,

დალამების —

როცა ცის თაღზე

მთვარის ჯერი დადგება, მაგრამ

ესეც — დროებით,

მუდმივობის საპირისპიროდ.

მოჩვენებითი სინამდვილე დაისადგურებს,

მხედველობით და შეგრძნებებით

დადგება ღამე,

დაელოდები მოსალოდნელ

რისის ფაქტორებს

და პრიციპის რე-აქცია ჩაენაცვლება —

მიუღებელი

ცვლილებების საპასუხოდ და

ჯერ არდამდგარი შედეგების

გამოსაკვლევად.

მონაცვლეობა განახლების ილუზია.

\*\*\*

როდის მოვრჩებით ჩუმად ჯდომას და განთიადის  
ყურებას ამ ცარიელ კაფეში?

## ფრედერიკ ბეგბედერი

ეს სინამდვილე წლიდან წლამდე

იწყებდა დღეებს,

ზოგჯერ — სიტყვებსაც,

რომ გოგოებდით ჩვენ ამ კაფეში

დიდი ხნის წინათ — გაზაფხულზე,

როცა პირველად

შემოვიხდედ და შეივსო სიცარიელე.

გვინა ღამები მაშინ

ბოლო საათებს გაპყვა,

ვიჯექით ჩუმად,

ლაპარაკის სურვილს აფრთხობდა

მხოლოდ ჭიქაზე მოხვდოდილი კოვზის წარუნი.

მერე ათასჯერ განმეორდა

იგვე ღამე,

და მეათასედ ვანახლებდით

ჩვენსავე სიტყვებს —

ლიმონიანი ჩაით, ყავით, უფრო — სიმშვიდით,

ერთი შეხედვით უსარგებლო,

სუსტი ბეგრებით,

რომლებიც ახლა დაგვეკარგა

და ვეღარც ვეძებთ.

სადღაც სიტუმეც დამთავრდება

და გათენდება —

ცარიელ კაფეს

უხმაუროდ გამოვისურავთ,

რომ აღარასდოროს შევალოთ და

არ დავიბრუნოთ

ჩვენმა სურვილმა მინის მცირე ნაგლეჯს მიგვაკრა. მოგვაკრა საგნის მნიშვნელობებს, მოხაზულობებს და რეალობას დაგვაშორა ათასი მილით. დღეს კვლავ დავდექით პირობითი საზღვრების მიღმა, დავდექით ორნი, გაუგებარ გზების პირისპირ, და ვერ ვიხსენებ, რა ხდებოდა გუშინ, როდესაც არც კი გიცნობდი, და ასეთი არც ვარსებობდი, როგორ დავრჩი და ვამჯობინე ერთი სურვილი მთელი ცხოვრების ჯიუტ მიზნებს, ჯიუტ ოცნებებს. სიძანულიც კი აღარ დამრჩა, რომ შეველიო — ჩვენ ბორტზე არ ვართ — გაფრენაზე არც მიფიქრია.

### სიზარი

მესიზმრა ლამე — ზუსტად ისეთი, ცხადში რაც იყო და ამ სიზმარში გზად დავიკარგე, როგორც ძილში და საკუთარ თავში, მერე სიზმრების ლაპირინთები ისე პირისპირ იდგნენ ჩვენს შორის, ერთმანეთს შორის, ისე ახლოს და ისე გვერდიგვერდ, როგორც ნისლი და უდაბნოები, როგორც ძილი და გამოლვიდება, როგორც ხმაური და მდუმარება. იყვეთებოდა ცხადი სიზმართან და თენდებოდა თანდათანობით, და თენდებოდა დაუსრულებლად, ისე, რომ ჯერ მზეს ვერც კი ვხედავდით, ვერც კი ვამჩნევდით. და ვოცნებობდით, რომ მინიშნება დაწყებულიყო — რომ გაყრილიყო ცხადი სიზმართან, სადღაც მეპოვნა ახალი გზა და გამომექრნა ახალი დიღა.

### პაპუანვერა

გადავეჩივი თანდათან წერას, აღარც კი ვეძებ საჭირო ფრაზებს, სიტყვები ჰეგვანან ბაბუანვერას და სულს ვუბერავ, თუ გამაბრაზეს. თუ იშემეხნენ და არ შემავსეს, თუ თქმას ლამობენ და ვერ ამბობენ, თუ სიტყვა მხოლოდ ბერებად რჩება, დამარცხებული და მეამბოხე, რასაც მოვისმენ და ვერ გავიგებ, რასაც ახლოსაც არ გავიკარებ — წვიმებს გავატან მე ასეთ სიტყვებს და მერე, როცა გადაიკარებს, როცა შევიძლებ მათ ამოკითხვას, კვლავ მივეჩევევი თანდათან წერას, ყველა სურვილის დასაბამის ავხსნი და სიტყვად შევკრავ ბაბუანვერას.



### ქეთი გზირიშვილი

#### ყარაულები

თითქოს, მეზობლად ცხოვრობდნენ — ეზოს გადაღმა. მათი სახლი ზურგით იდგეს — შემოსავლელი ჰქონდეს ორლობე. ჭიშერის წინ არ ედგათ ხის სკამი, არ ჯდებოდნენ საღამობით, არ ყვებოდნენ ქეყნის ავ-კარგს და ამსოფლელების კერძების გარშემო მომზდარს. სამაგიეროდ, მათ ჭიშეართან ჩვენ მივდიოდეთ. გვქონდეს იმედი: კბილობირდაკლებულები, ჩაიშიშაქარდაკლებულები, დღისა და ღამის ნებისმიერ დროს ამოესბული ჯიბებით შინ დაგებრუნდებით. ისინი იდგნენ სარქმელებთან — არ ინძრეოდნენ უხმოები, უძინარები. გზასმაცეკერალი მარტოეაცის მზერის პატრონებს ვგვრიდეთ შეილს, ქშობელს, ქმარს, ცოლს, მეგობარს, სატრფოს ან ვინმე მგზავრს — ჩვენი დღიდან და ვამწკრივებდეთ ფანჯრების წინ (კარგად დასანახ მანძილებზე), რომ მივაპაროთ: „აი, ეს ჩემი (არა, შენი!) — გზაზე დაგას უსწორმასწოროზე, გზაზე დაგას გაუნათებელზე, სცივა ფეხზე და გვცვივა ცრემლები. ...გადავავიწყდა სიყვარული, გადავავიწყდი. ...მინდა, ეს სახე — შენი მსგავსი — დამარცხესოვრო: თუ ჩამოგრჩება, მოუბრუნდე, კვლავ მიიმატო... მისცე სარჩო და საბადებული, ჩემი მზის ნახვარი, ჩემი მთვარის ნახევარი, წყალი ჩემი პეშვიდან...“

კარს გამოიცდირებს თვალი გვრჩებოდეს იმათ ეზოში: ვტრიალდებოდეთ, თავებს ვხრიდეთ, მუხლებს ვიყრიდეთ; ვამძრავებდეთ ხელებს, როგორც ეს მათ შეძლებოდათ... და ორლობები ჩამსხდრებსა თუ შინ შეყუულებს გვეგულებოდეს: ისინი დგანან ჩვენს ნაბიჯებთან — როგორც თეთრ ქვაზე ჩამოწერილ გვარ-სახელებთან — საპატიო ყარაულები.

#### უოქსტროტი ეპიზოდი სცენარიდან

ჰაი-ჰუი კანქვეშ. მოძრაობები მუნჯი ფილმიდან (კადრები შენებულებულია).

ვიდაც ზის კედელზე გაჭიმული ტილოს წინ და უკრავს როიალზე რაიმე ნაღვლიანსა და რიტმულს — მონაცემებით. მერე ჩვენ (ის — საყელოანეული, მე — ყუთში ჩადებული) მივდივართ შინ: ქარში „შუბლით“ ვიჭრებით და ვიჭრებით (ის — ერთი ხელი ქურთუკისთვის, მე — კედელზე გაკვრისთვის,

ერთხელ, პროკლამაციის). მის ალისფერ ხალიჩაზე ვწევართ ორი: ის — უმოძრაო, მე — ყუთიდან გადმოვარდნილი. (ჩემში პატარა მე აღარ დევს).

ქარს დაეფანტა აკორდები. ნაჭერი ჩამოხსნილია. ფეხები განზე გარბიან.

#### ცუ მიეყრდნობით

შენს მუხლებს პარაშუტები აბია. ეშვები მიწაზე, სტარტზე დამდგარ მძლეოსანს ემსგავსები. კარის დაკეტვა — პისტოლის ბათქი. წუთახევარი — საკმარისი — ხმის გასარბენად. ხმაშ ჩატარა დედაშენი, რომელიც კვდება. ჩვენ ახლა ვიციო, ბიჭის საშველი ჯიბეში გვიდევს და განკითხვის დღეს მზერას ვუხრით.

გუშინ სამკაცა გუნდი მძეროდა გუმბათებისთვის, რომელებიდანაც თავს დაგვაგუნებს მადლის ორკესტრი. ჩვენ სიძროულად ვისახავთ ჯგრებს და წამით თავს ვქინდრავთ. გუნდის წინაშეც ჩავკიდეთ თავი და მჭლე მკლავები კუტ ვარსკვლავების ამოსაკრეფად ჭებში ჩავყარეთ; ჩვენი კარგი ოდნავ შეიღო (ან მოგვეჩევნა, რომ დავინახეთ კარსმილმა მდელო); ხმაშ კი ჩაგვაძახა: — ნუ მიყრდნობით ფუჭ იცნებებს! მათი გზები ბნელ გვირაბებს მიუყვებიან.

.... ჩვენ ზუსტად ვიციო, სად წერია „ამოსასვლელი“. მათ გზა მიეცათ — სახლიდან სახლში.

#### საყოველთაო

(Libretto)

იყავით ჩემი რედაქტორი. გაიღეთ მოწყალება და წაიკითხეთ ჩემი ლექსები. ისინი მე დაგვირებ: ვიყავი სასოთი სავსე და წარკვეთილი. ისინი მე დაგვირებ: ზოგი — უმთვარო საღამოს, ზოგიც — ქარში. მდიოდა კვამლი და ვდიოდა შიშვლად. მერე ავკინძე ყველა ერთად, ჩავდე კონვერტში, თქვენს მისამართზე გამოვაგზავნე. იყავით ჩემი რედაქტორი — „ჩემი“ გვარი, „ჩემი“ სახელი, რომ ალმის ფრიალს თვალი მოჰკრან და, ეგბე, შედრკნენ.

იყავით ჩემი რედაქტორი და ამ ლექსს, ახლა ფასად რომ გინერთ, ფასადი ურცხვად გადმოვკიდებ თვალშესავლებაზე: აი, როგორი დაბალი ვიყავ, როგორ ვასტვნე ჩემს ნერვებზე თქვენი ფეხები — ტურფა ფეხები, მძლავრი ფეხები... მაში, რაღას უცდით, იყავით ჩემი რედაქტორი —

სენი.







## 30თა გრევის\*

ჰო, ვიცი, ვიცი,  
აქ მოწევა აკრძალულია,  
მაგრამ მე უკვე დილას გამწერენ,  
ბარგიც შევკრიო,  
ხვალიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ,  
ჩვეულებრივს,  
ადამიანურს.

ჩემი ბრჭყალა ტანსაცმელი არ დამჭირდება,  
აღარც მათრახი,  
ალბათ კედელზე ჩამოვეიდებ,  
დიპლომებს შორის,  
ანდა ყველაფერს ავიღებ და ერთად გადავყრი.

ნახეთ, როგორი თმახუჭუჭა ბიჭი ვიყავი!  
დლეს ასე მელოტს  
სურათის ველარც მიმამსგავსებთ.  
აი, ჩემი წყვილი ბოკვერიც,  
ეს— ძუ, ეს— ხვადი.  
ერთად გვეძინა ვოლიერში.  
მერე, ხომ იცით,  
როგორც ხდება,  
ცირკის მენეჯერს  
კეთილმოსურნემ შეატყობინა  
და ამეკრძალა ღამე დარჩენა.

მხეცი და კაცი ერთნაირად თვინიერდება:  
ცდა,  
მარცხი,  
ცოტა წარმატება,  
მოთმინება,  
გამეორება,  
წინსაფრის ჯიბე— ხორცით საცსე,  
ხელში— მათრახი,  
ოღონდ დროული უნდა იყოს  
ჯილდო-სასჯელი;

დგამიდან დგამზე კამარის შეკვრა,  
ცეცხლმოიცადებულ რგოლში გახტომა,  
ხასაში— თავი,  
ამ რუტინაზე მაყურებელს უკვე ამთქნარებს.  
მინდოდა რამე ეფექტური,  
მოულოდნელი,  
მწვავე და მახვილგონივრული.

გამომივიდა!

შუა ნომერში ვითომ ერთმანეთს დაერეოდნენ,  
ჩემეცენ ღრიალით მოიწევდნენ,  
მეორე მხარეს გავასწრებდი,  
შფოთავდა ხალხი,  
აღარსად ჩანდნენ მეხანძრები.  
მერე ვიღაცა,  
ვითომდამსწრე  
გისოსებიდან  
ვითომდატენილ თოფს მაწვდიდა.  
ძუს ვუმიზნებდი,  
წამომართული— ქვავდებოდა,  
იკლებდა შუქი თანდათანობით,  
ამასობაში ხვადი ზურგიდან მეპარებოდა,  
არენა ისევ ნათდებოდა  
და სინათლეში  
იმის ნაცვლად, რომ თავს დამცხრომოდა,  
დინჯად დამდგრი  
მაგდებინებდა თოფს ხელიდან,  
ტოტს გადამხვევდა,  
დამსახურებულ ხორცის ნაგლეჯს პირში ვუგდებდი  
და ორი მამრი ვიდებით ასე  
და ძუც ფეხებთან ალერსიანად გაგვინდებოდა.  
ჭექდა ორკესტრი,  
ტრიალებდა შუქეფექტები  
და ზანზარებდა,  
ინგრეოდა ტაშით დარბაზი.

მხეცი კი არა,  
ბოლომდე კაციც არ ინდობა.  
იძიე მერე:  
ჩვევა გძუპავს,  
უჩვეულობა  
თუ მოშურნეთა ვერაგობანი!  
ძუს დავუმიზნე,  
დავბარბაცდო...  
და ესხა სისხლი არენის ნახერხს.

გვიან მიამბეს,  
უზარმაზარი რეინის ბადე როგორ გაინგრა,  
როგორ აიჭრა ხვადი ლომი მაყურებლებში,  
როგორ დაგლივა დედა-შეილი,  
როგორ გავარდა მერე ქუჩაში  
და პოლიციამ როგორ დაცხრილა...

გვიან ით,  
ჩვენში ისევ ზოოპარკს აბარებენ  
ცხოველებს, ცირკს რომ აღარ სჭირდება?  
თავისუფლებას ანიჭებენ  
და არ ადარდებთ,



## ნინო დარბაისელი

რა უფრო დიდი სისასტიკეა,  
მხეცის განვრთნა თუ  
უკვე განვრთნილის დაბრუნება  
ისევ ჯუნგლებში.  
იქ, თვისტომებში ან სხვა მხეცებში  
იქნებ თავიც გაიტანოს,  
მაგრამ ერთხელაც,  
გული მიგრძნობს,  
თუ შორიდნენ სუნი იკრა ადამიანის,  
არც დაესხმება და არც სადმე დაემალება  
და როცა თოფსაც დაუმიზნებენ,  
ნაჩვევი ჯილდოს მოლოდინში  
შეხედავს ნდობით  
და მკერდს შეუშვერს  
ძველებურად ნამომართული.

\*ვიტა ბრევის (ლათ.)— სიცოცხლე მოკლეა.

## ჯაზი

მარი, მარი, მარი,  
წყნარი, მოლიმარი!  
მარის უყვარს ქმარი,  
ბევრი უარა.

მერე, მოწყენილი  
მანც, რატომ არი?!—  
ვერ გაიგო, იმ ქმარს  
უყვარს თუ არა.

ეკითხება ანა:  
— მანც გყვარს ქმარი?  
და პასუხობს მარი:  
— ჟო, ანა!

ასეთია მარი,  
ქმართან ნაომარი,  
რა ქნას, უყვარს ქმარი,  
ქმარს კი უყვარს მარი...  
მარი... ჟო.... ანაა!

## თვალი— გასვრატილ ჟიჟავა

## ანუ

## Occasio praeceps

ქალაქში ერთი გოგო დადის,  
მოუნის წელი,  
გახვრეტილ ჭიბზე უთამაშებს ცისფერი თვალი,  
გაღიმებისას ეწვრიტება ლოყები, ხოლო  
თვალები ისე შუქად უელავს,—  
— ქილიდან ახლად ამოლებული ზეთისხილვით...

ვაითუ მიცნოს,  
შემაჩიროს და ვერ გავექცე,  
ვაითუ ვედარ დავემალო ჯანდაბის იქით,  
ჰოდა, თავს დაგხრი,  
ვითომ ჩანთაში ვიქექები  
და ვიპარები,  
მაგრამ სიზმრებში,  
სწორედ იმწუთას,  
როდესაც ვხარობ,  
რომ კოშმარიდან სამშვიდობოს გამოვალნიე,  
უზარმაზარი,  
ვარუჯული,  
შიშველი ზურგით მიახლოვდება,  
თვალდახელშუა პატარავდება  
და დაკრუნჩული  
ჩიმს მკლავებში

წევს გაუნძრევლად ლურჯზე ლურჯი.

ვკბენ წევათითზე გამნარებით,

არ მოდის სისხლი,

თითების მაშით ვექაჩები სლიპინა ენას,

რომ სასულებელ არ დაეცოს,

ავრბივარ უცხო კიბეებზე,

თავდება კიბე,

არ ჩანს ექიმი,

არ ჩანს დედა.

ისმის კივილი უნუგეშო

და მე ვმრისხანებ,

ლმერთო ჩემო, როგორ ვმრისხანებ!

მზად ვარ,

ჩემივე ხელით მოვკლა ეს არამზადა,

სიკვდილ რომ ბედავს,

მოვკლა ათასჯერ,

ოღონდ ამ ერთხელ,

ერთადერთხელ გადავარჩინო.

როდესაც ბავშვი ამოასუნთქეს,

დავხუჭე თვალი,

გავიპარე და ვნეტარებდი,

ვნეტარებდი დაუსრულებლად,

ვიდრე ვიგრძენი ყბაში ვიღაცის მწარე ლაწანი.

რა ჭირად მოვხვდი,

ნეტა, იმ ზაფხულს ამათ მეზობლად,

რა ბედად მოვხვდი!

გრძნობათა ამბივალენტობა— ჩემი სენია.

ეს კი, შეხედეთ,

როგორ მოდის დღის სინათლეში!

მოურანს ჭიპი,

ჭიპზე — თვალი,

თვალში — მზის სხივი...

უცნაურია, მხრებს რატომ ბრინჯაოს რატომ ბრინჯაოს,

რატომ ბრინჯაოს მარის მოვალეობა

ნამოჩიტული წყვილი ბარტყი თბილად ჩამალოს...

ჩემი თვალი — ქვის ქვეშ!

## აპოკრიზები

## 1. სოდომი

აღარც კვამლია,

აღარც ფერფლი,

ქარმა წაიღო წასაღები,

დღი ხანია.

გვალვები ისევ იცვლებიან

თავსხმა წვიმებით.

შენ კი დნები,

დნები,

და არ ილევი.

ირგვლივ ისეთი ხრიოკია,

მარილნარებში

ხემ კი არა და,

მთელი ეს ხანი,

სარეველამაც ველარ იხარა.

რომელმა ფიქრმა მიგახედა,

რამ გაგაქვავა,

მარილის ლოდო—

— წარსულისკენ მაცქერალო,

უარესი მომავლისათვის

სამუდამოდ ზურგშექცეულო!

## 2. აივანი

ის :

— ამ ავდორის მერე

ისე მსუბუქად გაიხსნა ზეცა,

თითქოს გაისმა ხმა,

მამისგან გარდმომავალი

და იღიმება ნათლისმცემელი

და მაცხოვარი შედის მდინ

მარტო ხმა ისმის:

- სადა ხარ, მამა!
- რად დაგვიტოვე ეს სამყარო,
- სიტყვით შექმნილი,
- მაგრამ ბოლომდე გამოუთქმელი?

## მყობა

გაზაფხულობით,  
როცა ისე გათბება მიწა,  
რომ სადაცაა,  
კენჭმაც კვირტი გამოიტანოს,  
დამტოვეთ ასე,  
ჭკუა აღარ მომეკითხება.

მარტო ვიყავით:  
— გინდა, ნინუცი,  
ეს თეთრი ბალ გადავამყნოთ?  
ერთი ხე გვედგას  
და თითო ტოტზე  
თითონაირ ნაყოფს ისხამდეს:  
წარმოიდგინე,  
თეთრი,  
შავი,

ჭროდა,  
წითელი,  
ადრეულაც და საგვიანოც!

უფროსი ძმისა ტყუილიც კი დაიჯერება.  
ჯერ სანამყნე მოვაგროვეთ,  
(მგონი, შეი თუთაც შევურიეთ,—  
— სიმრავლისათვის).  
ხერხე და ჩეხე მერე ტოტები.  
მე კი ქვემოდან, რაც შემეძლო,  
ხელს გაშველებდი:  
ხან წყალი მთხოვე,  
ხანაც დანა ჩამოგივარდა,  
ხან მოქრილ ტოტებს  
ეზოს კუთხისკენ ვეზიდებოდი.  
ძველი ხალათიც  
ბრტყელ-ბრტყელ ზოლებად მე დავჭერი,  
ქურაზე ჯამით გასადნობად დადგმულ ფიჭასაც  
მე დავადექი.

მოკლედ, დავამყნეთ!

რომ ჩამოძერი,  
პირზე ხვითქი გადაგდიოდა  
და ის-ის იყო,  
გამარჯვებულნი  
ქვის კიბისთავზე დასასხდომად ვემზადებოდით,  
მოგვადგნენ კიდეც  
და რა თქმი უნდა,  
შენ— გაასწარი,  
მე— მცემეს  
და  
ბალიც გაგვიხმა.  
და ბაბოჩვენის წყვლა-კრულვა ზეცას ქუფრავდა  
(იქნებ იმშიაც იმან გინია?)

აი, აღდგომაც!  
ხვალ ამოვალ და  
გულზე წითელ კვერცხს გადაგიგორებ,  
ჭიქას წაგიქცევ,  
მაგრამ ჯერ მძინავს,  
არა, მღვიმებს და თვალებს ვჭუტავ,  
რომ არ გამექცეს ძილ-ლვიძილში  
ეს ნეტარება:

მოგრძო ფოთლებში მზე ლივლივებს,  
სხივებში ჩანხარ,  
საგსე კალათას ხეზე მიდგმულ კიბეზე ჰქიდებ,  
მე კი პირსახე და ხელები მაქვს განებილი.  
ყველა იღიმის,  
ირგვლივ— ჩიტები გალობენ და იყენებიან...

მწიფის ერთიანად ჩვენი ბალი,  
ათასფერადი!

## საახლოგლონი

\*\*\*  
ნუ უხმობ მამას თავგამეტებით.  
მას ხომ თვითონვე ეშინია,  
არ მიატოვონ.

\*\*\*  
დედაჩემს მოარგეს სხვისი ფეხსაცმელი.  
დედაჩემს კაბა სხვას ერგო,  
მე— სიჩუმე.

\*\*\*  
როცა სიკვდილმა ჩამინიარა.  
ბაბოჩემი მატყლსა პენტავდა,  
საპენტელი ბალახში დარჩა.

\*\*\*

ჩიბუს ჩაბერა,  
მერე მუხლზე დაიბერტყა.  
ცას პაპაჩემის დარდის ღრუბელიც აემატება.

\*\*\*

შინ — ვერაგი,  
გარეთ — ქომაგი.

\*\*\*

ძმა— გალავნის კარი  
უგალავნი ეზოს წინ.  
ნაშალ ყორეს კი რახანია ხავსი ედება.

\*\*\*

მარიდამ თონე გაახურა.  
ობოლს შეერგოს კუტი პური,  
მარილიანი.

ძალუამ ჭანჭური მომიკითხა.  
შავი თავშალი ჭადარაზე გადაუცურდა.  
ძიაჩემი ?!— ქორნინების სურათით ვიცი.

\*\*\*

დედინაცვალმა რა იცოდა,  
რომ დამალული მქონდა ხოლმე  
წინასწარვე დარჩეული ფეტვის მარცვალი!

\*\*\*

მეზობელმა ღობე ჩვენენ გადმოსწია.  
ჩვენს ძველ ღელვამდე,  
ხელს კი არა, ჯოხსაც ვერ ვაწვდენთ.

\*\*\*

მეგობარი—  
მუდამ ერთგული,  
გვერდით მდგომი... თავისი თავის.

\*\*\*

ნათლულმა კელაპტარი დამინთო.  
ჭირისუფლები დაიღალნენ.  
— ღრო არის?  
— ღროა!

გამვლელმა ჩემს ქვაზე ჩამოისვენა.  
გზა კი მიდის ალაგამდე  
შეუვენებლად.

\*\*\*

შე?— მადლობა გაძლებისათვის!  
პუდინგი შოტლანდიურად

პურის ნაჭრებზე გადავუსვა, რაც მაქვს, კარაქი,  
ზედ ფენა-ფენა ნავაყარო მუჭით შაქარი,  
რძეში ავთევიფო ერთი კვერცხი,  
ცოტა ვანილი და ზედ დავასხა.  
(თუ რძე არა მაქვს, წყალი— იმავე ოდენობის,  
შეგ ჩანწრული ცოტა ლიმონიც შისწრებაა,  
მაგრამ მხოლოდ წყლის შემთხვევაში).  
საშუალო ცეცხლზე უნდა ვაცხო  
შენითლებამდე.

როდესაც ავად მიხდები ხოლმე,  
არ ვატყობ,  
როგორ გეძალება  
ჩრდილოეთის ზღვის ნისტალგია,  
შენ — ცნობილ გურმანს —  
არ ჰყდინგ გიცხობ  
და შუქანთებულ ღუმელში მოჩანს  
შენი პირქუში შოტლანდია  
და ხმიანობენ იქაური შორი ლანდები.

აი, დამთავრდა უკვე მეორე მსოფლიო ომი,  
სასტუმრო ოთახს მოყვითალოდ ანათებს ლამფა,  
უკრავს ფიდელი\*,  
ჰარმონიკა.

მაღალი სკამი,  
სუფრის თავში — მამას ეკუთვნის,  
პუდინგის პირველ,  
ფიდ ნაჭერსაც მას არგუნებენ,  
მერე უფროსი ძმების ჯერია,  
დედისთვის მუდამ ბოლო რჩება,  
თუ რჩება რაძე.  
იმასაც, ვითომ დაივიწყებს,  
ფუსფუსს განაგრძობს,  
რომ ნაბოლარას მეტი ერგოს.  
მე დღეს დედაშენ გეთამაშები.

— შტორმი იქნება, გასვლა არ ღირს.—

— ამბობ,  
იღიმი.

ბიძგი,  
ბრაგუნი...  
ეს გულია?  
ჩემი თუ შენი?

არც არაფერი.

ნაოსნობიდან დაბრუნებულ,  
ძრავაგმირთულ  
გემებს პორტისკენ  
მუდამ ასეთი გარე ბიძგებით ეზიდებიან.

\* ფიდელი— სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი,  
ვიოლინოს მსგავსი.

## შეგროვებელი

ფრთადამტვერილებს  
ფუნჯის წვერით ვწმენდ სათითაოდ.  
თაროზე აღარ მეტეოდნენ  
და რომ ესუნთქათ,  
მეორე თაროც შემოვაშველე.  
პირმრგვალებს  
ტუჩზე შეპყინვიათ ნაზი ღიმილი,  
შუჩჩამებრალში კი სულ დაობენ,  
სულ ზუზუნებენ,  
ხანაც— ა-ა-ა-ააააააააააააა—  
— ხმაშენყობით ამღერდებიან.

ეს— კლასელების ნაჩუქარია,  
ფეხი რომ მომტყდა  
და კლინიკაში  
გახვრეტილ კოჭზე  
უბარმაზარი გირი დამკიდეს.

— რაო, პატარავ, დაიღალე?  
შენ ალბათ მაშინ გამებზარე,  
მაგოულხლართი რომ გამოგედო,  
როცა საშველად მოიჩქაროდი.

შენ, ლუჯფურთიანი,  
სულ უდრიოდ დროს იცი ხოლმე  
მხარზე დაჯდომა.  
ლხინს არ შემარგებ,  
რაღაც,  
ხიფათი მოგელისო,  
ვინ იცის,  
იქნებ ცრუობ კიდეც...

ბროლის ნამცეცავ,  
შენ ხომ თვითონ მისახედი ხარ!

საყვირიანს ვაიმედებ:  
— შენი ღროც მოვა!

ნელან ერთი მივარდებოდა  
და კიდევ კარგი,  
ხელი ღროზე შევაშველე.

— ეპ, ამასავით მეც რომ მყოლოდი...  
ეს ვისი ხმაა?  
როგორი ცივი ნათება მოაქვს!

მარად მდუმარე  
ორჭოფულად მიღიმის მამა.







ცამდაშემ გვესმის: გლობალიზაცია – ინტეგრაცია, ინტეგრაცია – გლობალიზაცია... რას უქადის გლობალიზაცია თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მწერლობას, — მსოფლიო აღიარებას (რისი ღირსიც უთუოდ იყო და არის), თუ მის ჩაირვას შარადიული „დავინიშების ზღვაში“?

პოლონერებმა მზრაამა და ფილოსოფუსმა სტანდალივ ლემმა ტექნიკური პროგრესი შეადარა სამართებელს, რომლითაც, შეინ ნება, — გინდ წვერს გაიპარსავ, გინდ ყელს გამოიჭრი. იგვე ითქმის გლობალიზაციაზეც. ეს თემა არახალია, ძველია: ევროპული ინტეგრაციის და მსოფლიო სარბიელის მოსურნე, გლობალური (მაშინ გლობალიზაცია ამერიკანიზაციის სინონიმად არ აღიქმებოდა) ფორმების, იდების და მხატვრული სახეების მაძიებელი, ოციოდე წლის ტიციან ტაბიძე, ჭეშმარიტი პოეტის გეშითა და გუმანი საფრთხესაც გრძნობდა: „საქართველო იმყოფებოდა ბევრი სხვადასხვა კულტურის გავლენის ქვეშ. ბევრი გადმოუღია იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურის, ბევრი იმათვისაც გაუტანებია. ამას არაფერი დაუშელია რუსთაველისათვის შეექმნა „ვეფხისტყოსანი“. ...როცა ხალხი იღებს სხვისგან რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს. ნაციონალური აპერცეპციის ძალით, ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვთ.

აშენარა წინა აზიაში ევროპა შემოაღეს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქშეკრული, რომ იყოს მთავარი მორგვი, რომელზედაც მოხევევა ახალი იდეები” („ცისფერი ყანები“, 1916).

**ლიტერატურულ ჭრილში „ცალმხრივი“ გლობალიზაცია ცალმხრივი სიყვარულით უნაყოფა.**

მეოცე საუკუნეში ერთობ ნაყოფიერი „ორმხრივი“ და „პარიტეტული“ ლიტერატურული ურთიერთობანი, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ რუსეთთან გვეხმდა. მისასალებელია, რომ სწორედ ახალი თაობის მწერლები და დროინდები (შესაძლოა, პრაგმატული მიზნებითაც) ამ კავშირების აღდგენას; რასაცირველია, ეროვნასა თუ ამერიკაში გასვლის გზებსაც ეძიებენ. მაგრამ დღევანდელ მობილურ და აფუთულებულ ეპოქაში ეს ზღვაში ჩვეთა.

გლობალიზაციის მტკიცნეული და მწვევე თემა ერთობ მახვილგრივორულად არის გათამაშებული თანამედროვე ქართულ პოეზიასა და პროზაში (გამოვარჩევ ბესიკ ხარანულის „დერეფანს“, კოტე ჯანდიერის „გლობალიზაციას“, ზურაბ ქარუმიძის „თხა და გიგოს“...).

„გლობალისტი“ ცისფერანენერები, გარევერებად მიზნებით თავას ბევრსაც თარგმნიდნენ (უბირატესად, ფრანგ და რუს ავტორებს).

დღესაც აქტუალურია 1923 წელს „რუბიკონში“ დასტამბული სტატია: „უდიდესი ნაკლი ჩვენი კულტურისა არის უქონლობა თარგმნილი ლიტერატურისა. ამ დარგში ჩვენში ნამდვილი სიცალიერეა. საეჭვოა, რომ ტომები უცხო ლიტერატურისა ქართულად დაითვალის ასპით. ეს საუკუნეობის სიცხვილი, დღესაც ძალაში რჩება, მიუხედავად იმასა, რომ განათლებულ ევროპასთან დახალოებებას ჩვენში, არა ორა სამი წლის ისტორიაში აქტუალური იყო...“


ჩვენი მგოსნები ერთი მეორეს ეჯაბრებონდნენ კრილოვს იგავ-არაკების თარგმნიდნი და, ...რუსულ მწერლობას შეეცარებული, ამ ლიტერატურის დაფასებაშიც უგემური გამოდნენ, და სრულებით გამორჩიათ პარამარტაში და ანთებებში...“

დღესაც აქტუალურია 1923 წელს „რუბიკონში“ დასტამბული სტატია: „უდიდესი ნაკლი ჩვენი კულტურისა არის უქონლობა თარგმნილი ლიტერატურისა. ამ დარგში ჩვენში ნამდვილი სიცალიერეა. საეჭვოა, რომ ტომები უცხო ლიტერატურისა ქართულად დაითვალის ასპით. ეს საუკუნეობის სიცხვილი, დღესაც ძალაში რჩება, მიუხედავად იმასა, რომ განათლებულ ევროპასთან დახალოებებას ჩვენში, არა ორა სამი წლის ისტორიაში აქტუალური იყო...“

დღესაც განგაშია ატესილი (მართლაც საგანგაშოა), რომ ქართულ ენაზე მსოფლიო კლასიკისა და თანამედროვე მწერლობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია თარგმნილი; ახლო ნარსულში ეს ნაკლებ

## ლალი ავალიანი

### ქართული მცენრობა გლობალურ კონტენტში



აქტუალური იყო: ყველამ ვიცით, რომ მსოფლიო ლიტერატურის, მეტს თუ არა, 70 პროცენტის მანც ქართველი მითხველი რუსული თავისი განვითარებით და მშვენიერი ესთო, — სურვილი გამარჩინა პერუელი მწერლის უკეთ გაცნობისა (იხ. „ლიტერატურული გაზიეთი“, 2010, N 37).

ნობელის პრემიით დაჯილდოება ყველასთავის სანატრელია. ნეტავი თუ არსებობს მწერალი, უარი რომ ეთქვას ამ პრემიაზე? ბორის ბასტერნაკის უარი რა მოსატავია: „საბჭოთა“ მწერალს რას არ აიძულებდა ყველა დონე.

რატომ ვერთონ ხელოვნურად დილემას — ინგლისური თუ რუსული? გავისენორთ, რომ სხოლები და რუსეთთან გვეხმდნა. მისასალებელია, რომ სწორედ ახალი თაობის მწერლები და დროინდები (შესაძლოა, პრაგმატული მიზნებითაც) ამ კავშირების აღდგენას; რასაცირველია, ეროვნასა თუ ამერიკაში გასვლის გზებსაც ეძიებენ. მაგრამ დღევანდელ მობილურ და აფუთულებულ ეპოქაში ეს ზღვაში ჩვენი ლიტერატურით.

\*\*\*

რატომ უცნაური, მოჯადოებული წრე გამოიყენეთა: ერთის მხრით, რუსეთმა და ჭანგიანმა კავკასიამ აღარ გაგვიშვა და მიგვალურსმა ჩახეთქილ ქედებს (გიორგი ლეონიძის ფრთიანი ფრაზის პერიოდი), ხოლო მეორეს მხრით, — მანვე, ქართულ მწერლობას, მისდაუნებულ და ანუ რუსეთის ტანამედროვებული მარგვაა და აფუთულებული უცხოელი სლავისტი (რუსისტი). ისეთი ლაგა მოჰყვა, რომ ისედაც შევ დაუდებდა.

„სარკს“ და „საბჭოთა კავშირს“ რაც შეეხება, მიფიქრია ამ სიტყვათშეთანხმების აბსურდულ შეუსაბამობაზე: ავტორიტარული წყობისას „საბჭო“ და „ბჭობა“ ვის დაკარგება; უზარმაზარ, ხელოვნურად შეკონინებულ მონსტრ სახელმწიფოს ანუ რუსეთის ტანამედროვებულ იმპერიას ტყუულზე დაფუთულებული სახელი ერქანს. მოგვიანებით, გაიცილება აღმართობა არა გვირგვიანი არ იციან, ახლა ინგლისური თუ გადმიქართულებულ აბრევატურების ისეთი ლაგა მოჰყვა, რომ ისედაც შევ დაუდებდა.

„სიტყვამ მოიტანა და, ამ პარევატურების სანატრელი სამართლია სამართლის სტანდარტი, რომ ერთობით გადაიცილება არა გვირგვიანი იყვანი...“

მანავა კვანძონტირობა: „მარკესის კათოლიკოსარი წერილი სიტყვის სამართლის სამართლის სტანდარტი, რომ ერთობით გადაიცილება არა გვირგვიანი იყვანი...“

დღესაც აქტუალურია 1923 წელს „რუბიკონში“ დასტამბული სტატია: „უდიდესი ნაკლი ჩვენი კულტურისა არის უქონლობა თარგმნილი ლიტერატურისა. ამ დარგში ჩვენში ნამდვილი სიცალიერეა. საეჭვოა, რომ ტომები უცხო ლიტერატურისა ქართულად დაითვალის ასპით. ეს საუკუნეობის სიცხვილი, დღესაც ძალაში რჩება, მიუხედავად იმასა, რომ განათლებულ ევროპასთან დახალოებებას ჩვენში, არა ორა სამი წლის ისტორიაში აქტუალური იყო...“

დღესაც აქტუალურია 1923 წელს „რუბიკონში“ დასტამბული სტატია: „უდიდესი ნაკლი ჩვენი კულტურისა არის უქონლობა თარგმნილი ლიტერატურისა. ამ დარგში ჩვენში ნამდვილი სიცალიერეა. საეჭვოა, რომ ტომები უცხო ლიტერატურისა ქართულად დაითვალის ასპით. ეს საუკუნეობის სიცხვილი, დღესაც ძალაში რჩება, მიუხედავად იმასა, რომ განათლებულ ევროპასთან დახალოებებას ჩვენში, არა ორა სამი წლის ისტორიაში აქტუალური იყო...“

დღესაც აქტუალურია 1923 წელს „რუბიკონში“ დასტამბული სტატია: „უდიდესი ნაკლი ჩვენი კულტურისა არის უქონლობა თარგმნილი ლიტერატურისა. ამ დარგში ჩვენში ნამდვილი სიცალიერეა. საეჭვოა, რომ ტომები უცხო ლიტერატურისა ქართულად დაითვალის ასპით. ეს საუკუნეობის სიცხვილი, დღესაც ძალაში რჩება, მიუხედავად იმასა, რომ განათლებულ ევროპასთან დახალოებებას ჩვენში, არა ორა სამი წლის ისტორიაში აქტუალური იყო...“

დღესაც აქტუალურია 1923 წელს „რუბიკონში“ დასტამბული სტატია: „უდიდესი ნაკლი ჩვენი კულტურისა არის უქონლობა თარგმნილი ლიტერატურისა. ამ დარგში ჩვენში ნამდვილი სიცალიერეა. საეჭვოა, რომ ტომები უცხო ლიტერატურისა ქართულად დაითვალის ასპით. ეს საუკუნეობის სიცხვილი, დღესაც ძალაში რჩება, მიუხედავად იმასა, რომ განათლებულ ევროპასთან დახალოებებას ჩვენში, არა ორა სამი წლის ისტორიაში აქტუალური იყო...“

კრიტიკის გამო), თარგმნიდნენ და „ინოსტრანისა ლიტერატურ







